ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 367

ქალაქი ქუთაისი 28 მაისი 2025 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ანგარიში 2024 წლის იანვრიდან 2025 წლის მაისამდე გაწეული მუშაობის

შ ე ს ა ხ ე ბ

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 3 თებერვლის №355 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ანგარიში 2024 წლის იანვრიდან 2025 წლის მაისამდე გაწეული მუშაობის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

მუხლი 1. შეფასდეს დამაკმაყოფილებლად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ანგარიში 2024 წლის იანვრიდან 2025 წლის მაისამდე გაწეული მუშაობის შესახებ.

(ანგარიში წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

საქართველო ქ. ქუთაისის
ს ა კ რ ებ უ ლ ო
26 გას. № 208
26 05 2025 წ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2025 წლის 28 მაისის
№367 განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ანგარიში 2024 წლის იანვრიდან 2025 წლის მაისამდე გაწეული მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

2024 წლის იანვრიდან 2025 წლის მაისამდე სამსახურის მიერ განხილულ იქნა:

მიწის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (გაპი) – 376 (პირველადი დოკუმენტი), თანხმობა გაიცა 150-ზე, განუხილველია 189, უარი ეთქვა 37-ს, სამსახურის მიერ, ჯამში, პირველად დოკუმენტზე დამუშავდა 268 შუალედური გადაწყვეტილება და 12 ინფორმაციული წერილი, საბოლოო ჯამში - 656.

მშენებლობის ნებართვა - 731 (პირველადი დოკუმენტი), თანხმობა გაიცა 494-ზე, განუხილველია 199, უარი ეთქვა 38-ს. სამსახურის მიერ, ჯამში, პირველად დოკუმენტზე დამუშავდა 579 შუალედური გადაწყვეტილება და 6 ინფორმაციული წერილი, საბოლოო ჯამში - 1316.

დეტალური შეტყობინება (II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები, 4 მ.-მდე სიმაღლის მქონე ღობე) - 270 (პირველადი დოკუმენტი), თანხმობა გაიცა 136-ზე, განუხილველია 97, უარი ეთქვა 37-ს, სამსახურის მიერ, ჯამში, პირველად დოკუმენტზე დამუშავდა 184 შუალედური გადაწყვეტილება და 2 ინფორმაციული წერილი, საბოლოო ჯამში - 456.

ლეგალიზება (2007 წლამდე აშენებულ უნებართვო მშენებლობათა კანონით დადგენილი წესის დაცვით შეთანხმება) – 61 (პირველადი დოკუმენტი), თანხმობა გაიცა 21-ზე, განუხილველია 21, უარი ეთქვა 19-ს, სამსახურის მიერ, ჯამში, პირველად დოკუმენტზე დამუშავდა 23 შუალედური გადაწყვეტილება, საბოლოო ჯამში - 84.

I კლასის ობიექტთა შეთანხმება – 904, თანხმობა გაიცა 542-ზე, განუხილველია 321, უარი ეთქვა 41-ს, სამსახურის მიერ, ჯამში, პირველად დოკუმენტზე დამუშავდა 324 შუალედური გადაწყვეტილება და 18 ინფორმაციული წერილი, საბოლოო ჯამში – 1246.

სამართლებრივი საკითხები - 84 (პირველადი დოკუმენტი), თანხმობა გაიცა 68-ზე, განუხილველია 10, უარი ეთქვა 6-ს, სამსახურის მიერ, ჯამში, პირველად დოკუმენტზე დამუშავდა 5 შუალედური გადაწყვეტილება და 2 ინფორმაციული წერილი, საბოლოო ჯამში - 91.

თავისუფალი განცხადება - 1271.

სამსახურის მიერ განხორციელებული სხვადასხვა აქტივობების მიმოხილვა

2024 წლის იანვრიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურში განსახილველად შემოვიდა განაშენიანების დეტალური გეგმის (შემდეგ, გდგ) 26 ინიცირების (კონცეფციის) პროექტი. მათგან საკრებულოს მიერ დადებითი გადაწყვეტილებით გაიცა 7 ინიცირების, 3 კონცეფციისა და 2 გდგ-ს პროექტი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადებითი გადაწყვეტილებით დასრულებული გდგ-ს ინიცირებებია:

1. ქალაქი ქუთაისი, ტაბიძის ქუჩის №39ა-ს სამხრეთით მდებარე 9196 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 03.04.25.216) საცხოვრებელი კომპლექსის ინიცირება.

2. ქალაქ ქუთაისში, ლადო ასათიანის ქუჩის №96-სა (ნაკვეთები: №1; №2; №2-1-1; №2-1-1; №2-1-2; №2-2; №3; №4; №4-1; №4-2) და ქალაქ ქუთაისში, ლადო ასათიანის ქუჩის №96-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთებზე შეთანხმდა მრავალბინიანი კომპლექსის მშენებლობისთვის წარმოდგენილი გდგ-ის ინიცირება.

3. ქალაქი ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩის №31-ში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების საფუძველზე შეთანხმდა გდგ-ს ინიცირების დოკუმენტი.

4. ქალაქ ქუთაისში, ჟ.შარტავას ქუჩის III შესახვევის №24-სა (საკადასტრო კოდი №03.04.21.346) და ზ.გამსახურდიას გამზირის №8-ში (საკადასტრო კოდი №03.04.21.398) არსებული მიწის ნაკვეთებზე შეთანხმდა მრავალბინიანი კომპლექსის მშენებლობისთვის წარმოდგენილი გდგ-ის ინიცირება.

5. ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩის №4-ში (საკადასტრო კოდი №03.05.26.182) არსებული მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი კომპლექსის მშენებლობისთვის წარმოდგენილი გდგ-ის ინიცირება.

6. ქალაქ ქუთაისში, ივანე ჯავახიშვილის ქუჩის №59ა-ში, ივანე ჯავახიშვილის ქუჩის III შესახვევის №4, (საკადასტრო კოდი №03.01.22.687) და ივანე ჯავახიშვილის ქუჩის III შესახვევის №2-ში, ჯავახიშვილის ქუჩის №63-ის ჩრდილოეთით (საკადასტრო კოდი №03.01.22.078) არსებული მიწის ნაკვეთებზე თანხმობა გაიცა მრავალბინიანი კომპლექსის მშენებლობისთვის წარმოდგენილი გდგ-ის ინიცირების შესახებ.

7. ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირის №20; №20ა; №20დ; №20ე; №20ვ; №20ზ-სა და ბუხაიძის ქუჩის II მიკრორაიონის №1ა-ს სამხრეთით არსებული მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდების ნომრები: 03.01.22.688; 03.01.22.657; 03.01.22.698; 03.01.22.633; 03.01.22.312; 03.01.22.694; 03.01.22.227; 03.01.22.695; 03.01.22.656; 03.01.22.311; 03.01.22.697; 03.01.22.291; 03.01.22.292) შეთანხმდა მრავალბინიანი კომპლექსის მშენებლობისთვის წარმოდგენილი გდგ-ის ინიცირება.

დადებითი გადაწყვეტილებით დასრულებული გდგ-ის კონცეფციებია:

1. ქალაქი ქუთაისი, ტაბიძის ქუჩის №39ა-ს სამხრეთით მდებარე 9196 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №03.04.25.216) საცხოვრებელი კომპლექსის კონცეფცია.

2. ქალაქ ქუთაისში, ლადო ასათიანის ქუჩის №96-სა (ნაკვეთები: №1; №2; №2-1-1-1-1; №2-1-2; №2-2; №3; №4; №4-1; №4-2) და ქალაქ ქუთაისში, ლადო ასათიანის ქუჩის №96-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთებზე შეთანხმდა მრავალბინიანი კომპლექსის მშენებლობისთვის წარმოდგენილი გდგ-ის კონცეფცია.

3. ქალაქ ქუთაისში, ჟ.შარტავას ქუჩის III შესახვევის №24-სა (საკადასტრო კოდი №03.04.21.346) და ზ.გამსახურდიას გამზირის №8-ში (საკადასტრო კოდი: №03.04.21.398) არსებული მიწის ნაკვეთებზე შეთანხმდა მრავალბინიანი კომპლექსის მშენებლობისთვის წარმოდგენილი გდგ-ის კონცეფცია.

სამსახური აქტიურად არის ჩართული ყველა საგრანტო კონკურსის განხორციელების პროცესში თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

სამსახურში მოქმედებს ცხელი ხაზი, სადაც ყოველდღიურად 25–30-მდე ზარის მიღება ხდება, შემდეგ პრობლემათა იდენტიფიცირება და უკუკავშირი ხორციელდება იმავე დღეს.

ნებისმიერ მოქალაქეს, საკუთარი და სამსახურის მიერ განხორციელებული ქმედებების შესახებ ეგზავნებათ მოკლე ტექსტური შეტყობინებები.

ქალაქ ქუთაისში, რამდენიმე მისამართზე, შენობების ფასადზე განთავსდა „QR" კოდები „Archiglass" (არქიტექტურული ბიუსტისა) და „AR" ტექნოლოგიის აპლიკაციის საშუალებით), რომლის ნებართვის მოპოვების პროცესში სამსახური აქტიურად იყო ჩართული.

ესენია:

ქალაქ ქუთაისში, თამარ მეფის ქუჩა №9 (საკადასტრო კოდი №03.03.21.644), წმინდა ანანიას ქუჩა №9 (ყოფილი 1905 წლის რევოლუციის ქუჩა №11), საკადასტრო კოდი №03.03.21.295), შოთა რუსთაველის გამზირი №44 (საკადასტრო კოდი №03.02.02.043), თამარ მეფის ქუჩა №56 (საკადასტრო კოდი №03.03.26.241), თამარ მეფის ქუჩა №4 (საკადასტრო

კოდი №03.03.21.340), ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა №2, შოთა რუსთაველის გამზირი №8 (საკადასტრო კოდი №03.03.21.432), ალექსანდრე პუშკინის ქუჩა №18, აკაკი წერეთლის ქუჩა №14 (საკადასტრო კოდი №03.03.26.128).

მიმდინარე პერიოდში შედგა არაერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა „ქუთაისის დაბალემისიანი განვითარება ურბანული დაგეგმარების გზით" პროექტის ფარგლებში.

სამსახურის მიერ 2024 წელს მომზადდა ჯვრის ესკიზი, რომელიც განთავსებულია ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩაზე, გზის გამყოფ ზოლზე. ასევე, სამსახურის მიერ მომზადდა ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა №19-ში არსებული მიწის ნაკვეთზე მადლიერების სახლის სამშენებლო დოკუმენტის პროექტი.

სამსახური აქტიურად არის ჩართული ქალაქ ქუთისში, ცენტრალურ ბულვარში „ნიკო ნიკოლაძის" ძეგლის განთავსების შესახებ ესკიზის შეთანხმების პროცესში.

გენერალური გეგმის სახელმწიფო შესყიდვის პროცედურების დასაწყებად მზადების პროცესის მიმოხილვა

ამ ეტაპზე დასასრულს უახლოვდება გენერალური გეგმის II ეტაპის შესამუშავებლად საჭირო ტექნიკური დავალების და საკონკურსო დოკუმენტაციის მზადების პროცესი. ამ მიზნით ჩატარდა შეხვედრები სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებთან, სამინისტროებთან და მოსახლეობასთან.

შენიშვნა: წინამდებარე ანგარიში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 43-ე სხდომაზე, მ/წლის 28 მაისს, წარმოდგენილ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სივრცითი დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის, მამუკა კუბლაშვილის მიერ.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ ეკატერინე ფენგელია